სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №02-282

ქ. თბილისი

27.02.2015

ესპანური ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (DELE) ჩაბარების მსურველთა რეგისტაციის ვადების, საფასურისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სერვანტესის ინსტიტუტს შორის 2011 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2015 წლის 23 თებერვლის 02-1854/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE)- სასკოლო დონე- 18 წლამდე ასაკის პირებისათვის A1, A2, B1 ენობრივი დონეებზე ჩატარდეს 2015 წლის 22 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში;

2. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) A1, A2, B1, B2, C1, C2 ენობრივი დონეებისთვის, გარდა ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ჯგუფისა, ჩატარდეს 2015 წლის 23 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

3. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 2 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–17:00 საათამდე, მისამართზე ჭავჭავაძის 32, ოთახი A206;

3. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდზე (DELE) გასვლის მსურველებმა რეგისტრაციის ადგილზე უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფურცელი და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ორიგინალი და ასლი, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი და ასლი;

ბ) გამოცდაზე დარეგისტრირებისთვის საჭირო, გამოცდის დონის შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: **ხაზინის ერთიანი ანგარიში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერ სიტეტი**
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: **708997289**
მიმღების ბანკი: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
გ) 18 წლამდე ასაკის პირისათვის საჭიროა სარეგისტრაციო ფურცელზე კანონიერი წარმომადგენლის(მშობლის) თანხმობა.

4. ესპანური ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდაში (DELE) მონაწილეობის მსურველთათვის გამოცდის საფასური განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად;

5. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრატორად განისაზღვროს ნინო ქარელი(ენების დიდაქტიკის ცენტრის კოორდინატორი);

6. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (DELE) საგამოცდო კომისიისა და კომისიის აპარატის შემადგენლობა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად;

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უნივერსიტეტის ესპანური ენის მასწავლებელს თამარ ბესელიას;

8. უნივერსიტეტის სამდივნოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქში განთავსება;

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ფინანსურ სამსახურს, საფინანსო დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, განვითარების სამსახურს, ენების

დიდაქტიკის კვლევით ცენტრს, საგარეო ურთიერთობის სამსახურს და ამ ბრძანების N2 დანართით განსაზღვრულ პირებს.

რექტორი

გიგა ზედანია

დანართი 1

დონე A1	77 ლარი
დონე A2	82 ლარი
დონე B1	86 ლარი
დონე B2	127 ლარი
დონე C1	150 ლარი
დონე C2	164 ლარი

დანართი 2

საგამოცდო კომისია:

ირინა ჭელიძე (კომისიის თავმჯდომარე)

თამარ ბესელია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

კომისიის აპარატი:

ირინა ჭელიძე (უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგი)

ია კარგარეთელი (უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგი)

თამარ ბესელია (უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგი)

ნინო ქარელი(ენების დიდაქტიკის ცენტრის კოორდინატორი)